

კულტურა

№ 149
(4143)

1970 წ.

აპრილი,
შაბათი.
ფასი 3 კაპ.

საპ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო
ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР в республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1984 წლის
18 აპრილიდან

თ ა ს ი —
„აპრილი“
გ უ ნ დ ს

საერთაშორისო და რუსულ შა-
შის სსრ კავშირის თანხმად და-
დგენილი მფლობელი — საზოგადო-
ება „აპრილის“ გუნდი (მარცხ-
ნიდან): სპორტის ოსტატები ა. წა-
უშოვა, დ. ციბისი და ბ. ბილინდ-
რი.
ა. ალექსანდროვის ფოტო
(საქედისი).

ო ლ ი მ პ ი უ რ ი ა მოცანების უშუაშე

სსრ კავშირში ფიზიკური კულ-
ტურისა და სპორტის შედეგო-
ში განვითარებისა და საბჭოთა
სპორტსმენთა ოსტატობის ზრდის
ამოცანებს, 1972 წლის ზამთრის XI
და ზაფხულის XI ოლიმპიური თა-
მამშობისთვის მზადებას მიეძღვნა
სსრ კავშირის მინისტრთა საბ-
ჭოსთან არსებული ფიზიკური
კულტურისა და სპორტის კომიტე-
ტის კოლეგიის სხდომა, რომელიც
29 ივლისს შედგა მოსკოვში, სხდო-
მა ჩაატარა კომიტეტის თავმჯდომარე
მ. პავლოვი.

კოლეგიამ განიხილა და დაამტკი-
ცა საკავშირო და საერთაშორისო
ასპარეზობათა კალენდარული გეგმა
1971 წლისთვის. მთავარ შეჯიბრე-
ბებად მიჩნეულია პროფკავშირის
ზამთრის VII და სსრ კავშირის
ხალხთა V საზაფხულო სპარტაკა-
დების ეს ასპარეზობები არა მარ-
ტო ხელს შეუწყობენ სპორტში
მოსახლეობისა და განსაკუთრე-
ბით, ახალგაზრდობის მასობრივად
მზიდვას, არამედ ნიჭიერი სპორ-
ტსმენების გამოვლენაშიც დაგეგ-
მარებას.

კოლეგიამ განიხილა სსრ კავში-
რის სპორტული სკოლების შარ-
შინდელი საქმიანობის შედეგები და
აღნიშნა, რომ მათი მუშაობის ხა-
რისხი ჯერ კიდევ ჩამორჩება დღე-
ვანდელი დღის მოთხოვნებს. ისინი
ნაყოფიერად ამზადებენ საერთა-
შორისო კლასის სპორტის ოსტა-
ტებს, რომელთაც შეუძლიათ წარ-
მატებით დაიცვან საბჭოთა ქვეყნის
ღირსება ოლიმპიურ თამაშებში,
მსოფლიო და ევროპულ ჩემპიონა-
ტებში, სწორედ სკოლების მუშაობა
არ იგეგმება და არ მოწოდება ფი-
ზიკური კულტურისა და სპორტის
ადგილობრივი კომიტეტების მიერ,
ხოლო ყოველი მწვრთნელ-მასწავ-
ლებლის მუშაობის საკითხები ჭა-
ბუთა სპორტის მესვეურთა ყუ-
რადღების ცენტრში არ დგას.

დღევანდელი დღის მოთხოვნათა
შუშე განიხილეს სპორტული ტან-
ვარჯის მდგომარეობა უკრაინაში,
რომელსაც გამორჩეულ ტანვარჯი-
სმეთა ალზრდის სახელობის ტრა-
დისიონი აქვს. უკრაინის 12 ტანვარ-
ჯის სკოლა სხვადასხვა დროს სსრ კავ-
შირის ჩემპიონი იყო, ხოლო მათგან
ცხრა ოლიმპიური ჩემპიონის სა-
ხელმწიფო ოკოვამ მაგრამ თუ მელ-
ნიშვი, ელბურნი, რომში და ტო-
კიოში უკრაინელი ტანვარჯისმე-
ნები სსრ კავშირის ნაკრები გუნდის
მთავარ ძალას წარმოადგენდნენ, მე-
ხიკოს ოლიმპიურ თამაშებში არც
ერთ მათგანს არ მიუღია მონაწი-
ლეობა.

დღეს უკრაინელი ტანვარჯის-
მეწიფეები სუსტად გამოდიან საკავ-
შირო შეჯიბრებებშიც და მოსწავ-
ლეთა სპარტაკადებშიც, რაც მოწ-
მობს, რომ უკრაინის სპორტის მეს-
ვეურები ცუდად ზრუნავენ თავი-
ანთ ტანვარჯისმეთა ოსტატობის
ზრდისთვის. კოლეგიამ აღნიშნა,
რომ უკრაინის სსრ მინისტრთა სა-
ბჭოსთან არსებული ფიზიკური
კულტურისა და სპორტის კომი-
ტეტი ცუდად მუშაობს უმაღლესი
კლასის ტანვარჯისმეთა აღზრდის-
თვის.

კომიტეტის კოლეგიის ყურადღე-
ბის ცენტრში იდგა, აგრეთვე, ფი-
კულტურული ორგანიზაციების ის
ღონისძიებები, რომლებიც ჩატარ-
დება „სოფლის მეურნეობის სფე-
როში პარტიის მორიგი ამოცანე-
ბის შესახებ“ სსრ ცენტრალური
კომიტეტის ივლისის პლენუმის და-
დგენილებასთან დაკავშირებით. კო-
ლეგიამ მიიღო დადგენილება, რო-
მელიც ყველა ფიზკულტურულ ორ-
განიზაციას ავალდებს ჩაატარონ მუ-
შაობა 1970-1971 წლებში ყველა
კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურ-
ნეობაში და სოფლის მეურნეობის
სხვა ორგანიზაციაში ფიზკულტურ-
ის კოლექტივების შექმნის მიზ-
ნით, განამტკიცონ ისინი სპეცია-
ლისტთა კადრებით, კვალიფიციური
ინსტრუქტორ-მეთოდისტებით, და-
მარება გაუწიონ მათ უმარტივეს
სპორტულ ნაგებობათა მოწყო-
ბაში.

რეკომენდებულია პრაქტიკაში
დაინერგოს ყოველწლიური მასობ-
რივი შეჯიბრებები სპორტის სხვა-
დასხვა სახეობაში კოლმეურნეობე-
ბისა და საბჭოთა მეურნეობების
ფიზკულტურულ კოლექტივებში;
დიდი ყურადღება მიექცეს ისეთ
შეჯიბრებებში ორგანიზაციას, რო-
მელთაც სოფლის მეურნეობის მუ-
შაკებისთვის გამოყენებითი მნიშ-
ვნელობა აქვთ.

სსრ კავშირის ხალხთა V სპარ-
ტაკადის პროპაგანდასა და ფარ-
თო პოპულარიზაციის მიზნით სსრ
კავშირის მინისტრთა საბჭოსთან
არსებულმა ფიზიკური კულტურისა
და სპორტის კომიტეტმა გადა-
წყვიტა ჩაატარონ უფრო ნაღისტა
კონკურსი პრესაში, რადიოში და
ტელევიზიით სპარტაკადის უკეთ
გაშუქებაში.

კოლეგიის სხდომაზე დაადგინეს,
რომ 1970 წლის დეკემბერში რი-
გამო ჩაატარდეს სპორტული ფილ-
მების III საკავშირო ფესტივალი.

კომიტეტის კოლეგიამ განიხილა
საბატიო სპორტის წოდებათა მი-
ნიჭების საკითხი. დღეიდან სსრ
კავშირის დიპლომატები არიან მო-
ჭადრაკეები ა. ლეინი და ს. ფურ-
მანი. სსრ კავშირის დამსახურე-
ბული მწვრთნელების წოდება მი-
იღეს ნ. სანინმა, რომელმაც ბევ-
რი საერთაშორისო კლასის ნიჭო-
სანი აღზარდა, დ. კორკინმა, რომ-
ელმაც მოამზადა მსოფლიო და
ევროპის ჩემპიონატების რამდენიმე
პრიზორი თავისუფალ ჭიდაობა-
ში, ვ. ბატენმა, რომელიც წარ-
სულში ცნობილი იყო ველობრტე-
ზე გამოხვედებით, ახლა კი რამდენიმე
მსოფლიო რეკორდსმენი, სსრ
კავშირის ჩემპიონი და სხვადასხვა
საერთაშორისო ასპარეზობის პრი-
ზორი აღზარდა, ე. ჩაიკოვსკიამ,
ყინულზე ცქევაში მსოფლიოსა და
ევროპის წოდებდელი ჩემპიონე-
ბის ლ. პასოშოვსა და ა. გორს-
კოვის მწვრთნელმა.

(საქედისი).

ოთხიდან 4 ქულა

ლენინბაანი, 31 ივლისი
(დებუთი, ჩვენი სპეც. კორ.),
„ა“ კლასის II ჯგუფის რეგის-
ტრ გუნდების აქ მიმდინარე
საკავშირო ასპარეზობაში გუ-
შინ მეორე ტურის შეხვედრები
გაიმართა. თბილისის „დინა-
მოს“ წინააღმდეგ მიხი ერევენ-
ლი თანაკლუბელები თამაშობ-
დნენ. სომხეთის სპორტსმენები,
რომლებიც ქვეჯგუფში გამარჯ-
ვების ერთ-ერთ ფავორიტებად
ითვლებოდნენ, თავიდანვე ინი-
ციაციის დაუფლებას შეეცად-
ნენ, მაგრამ მათი სწრაფი იერი-
შები თბილისელთა ნახევარზე
იფუშებოდა. საბოლოოდ გამარ-
ჯვება საქართველოს რეგის-
ტებს დარჩათ — 17:8.

ტაშკენტის „ენგემა“ დაძა-
ბულ ბრძოლაში სძლია აღმა-
ათის „ოლიტიკისს“ — 10:15.
გათამაშების ერთობრივული
ლიდერი გახდა თბილისის „დი-
ნამო“, რომელსაც ოთხიდან 4
ქულა აქვს.

ბ. სარქიშვილი.

22,5 : 13,5

კალენინბრადი, 31 ივლისი
(ჩვენი კორ.). ხვალ აქ ისინება
სსრ კავშირის თანხმად გათა-
მაშება მოკლდარაქე ქალთა შო-
რისი. ისე როგორც ვაჟთა ტურ-
ნირში, აქაც 64 მოკლდარაქე თა-
მამშება. თანხმის ბრძოლაში
დასაშვებულთა ყველა ოსტატი და
რესპუბლიკათა პირველობების
პრიზორები.

გუშინ აქ რიგაიდან ჩამოვიდ-
ნენ საქართველოს მოკლდარაქე-
ები — ოსტატები ე. კაკა-
ბაძე, ე. კობაიძე, პირველობრი-
გონენები — საქართველოს ჩემ-
პიონი ე. კახიბერიძე, თ.
ხუაშვილი და ნ. ჩიქოვაძე.

რიგაში ქართველი მოკლდარა-
ქეები ლატვიელი კოლეგების
ნაკრებ გუნდთან ამხანაგური
მტრის სათამაშოდ იყვნენ ჩა-
სული. ზემოდასახელებულთა
გარდა თბილისელთა გუნდში
პირველობრიგონენი ნ. ხუაშ-
ვილიც თამაშობდა. მასპინძ-
ლებმა გამოიყენეს საქაოლ
ძლიერი გუნდი, რომლის წევრ-
თა შორის იყვნენ ლატვიის ჩემ-
პიონი ი. კლოვანე, ზ. ნახიოვ-
სკია და დები ვილერტები. მატ-
ჩი ჩატარდა შევენიგენის სის-
ტემით (ერთი გუნდის ყველა
წევრი შეხვდა მეორე გუნდის
ყველა წევრს) და ერთ კვი-
რას გაგრძელდა. გაიმარჯვეს
თბილისელებმა — 22,5:13,5.



2045

◆ სტოპკომში, 31 ივლისი. სამე-
ფო სტადიონზე გამართულმა დიდმა
მძლეოსნურმა საერთაშორისო შეჯიბრე-
ბამ — „ივლისის თამაშებმა“ ცხოველი
ინტერესი გამოიწვია. ყველაზე მთუ-
ლოდნელი იყო 5000 მეტრზე რბენის
შედეგი: კარი დროით (13.44,6) გა-
იზარჯა ნაკლებად ცნობილმა, 25 წლის
იუგოსლავიელმა დ. კორცამ, რომელ-
მაც ჩამოიტოვა სსრ კავშირი — აშშ-ს
ამასწინანდელი მატჩის მონაწილენი ე.
მური (13.46,4) და ფ. შორტერი
(13.48,2). ფინიშთან მეორე იყო ამ
მანძილზე მსოფლიო რეკორდსმენი, ავ-
სტრალიელი რ. კლარკი — 13.51,2.
3000 მეტრზე წინააღმდეგობით რბენაში
ყველას აჯობა მსოფლიოს ახალმა რე-
კორდსმენმა ე. ოზრაიენმა (ავსტრა-
ლია) — 8.29,2. II ადგილზე გასუ-
ლმა ს. ენგენმა ნორვეგიის ახალი რე-
კორდი დაამყარა — 8.31,4. ამერიკე-
ლმა ტ. პილმა მოიგო 110 მეტრზე თა-
რბინი — 13,6, ხოლო ბრიტანეთის
თამაშების ჩემპიონმა დ. კვერი (იამა-
იკა) — 200 მეტრზე რბენა — 20,7.
სსრ კავშირი — აშშ-ს მატჩში გამარჯ-
ვებულმა ბ. სკინერმა ყველაზე შორს
ტყორცნა შუბი — 81,08 მ. შედეგ რ.
ბრუნი პირველი იყო ბადროს ტყორც-
ნაში — 64,16 მ. ქალთა შორის თავი
გამოიჩინა ამერიკის ერთ-ერთი უნივე-
რსიტეტის სტუდენტმა ჯი ჩენმა, რომ-
ელმაც გაიმარჯვა 100 (11,2) და 400
მეტრზე (52,6) რბენაში.

◆ ბულაპაშტი, 31 ივლისი. უნ-
გრეთის მძლეოსნობის ვეტერანმა
იოლან კლეიბერნემ ახალი ეროვ-
ნული რეკორდი დაამყარა ბადროს
ტყორცნაში — 60 მ. ეს ერთ-ერთი

საუკეთესო შედეგია წლეულს მსო-
ფლიოში.

◆ კოვენაბანი, 31 ივლისი.
დღეს დილის 9 საათზე ადგილობ-
რივი დროით სტარტი აიღო მსო-
ფლიოს VIII ჩემპიონატმა ბაიდა-
რებთა და კანოებით ნიჩბოსნობა-
ში. წარმატაცი ტიხის ბავგერდის
ციხფერ ბილიკეზე 26 სახელმწი-
ფოს სპორტსმენები გამოვიდნენ.
საორგანიზაციო კომიტეტმა ბოლო
მომენტში მიიღო დეკრეტი, რომ
ფინანსური სიძნელეების გამო მექ-
სიკელები დანიის დედაქალაქში
ვერ ჩამოვიდნენ. დღეს ნახევარფი-
ნალების საჯაროებისთვის გაჩაღდა
ბრძოლა. რეგლამენტის თანახმად,
ყოველი ბილიკეა და შეჯიბრების
გაგრძელების უფლება სამ სპორტ-
სმენს ენიჭებოდა. თუმცა, ნავერის
ზოგადი კლასში დილის სტარტე-
ში ფორმალური ხასიათისა გახლ-
დათ — რამდენიმე სერიაში სულ
სამი ნიჩბოსანი ასპარეზობდა. სა-
ბჭოთა სპორტსმენებმა პირველივე
ბრძოლაში მიიღეს მონაწილეობა.
500 მეტრზე გატურავაში გაიმარჯ-
ვა ა. ტომჩენკო (1.53,51) და
ოლიმპიურმა ჩემპიონმა ლ. პინე-
ვამ (2.11,84), რომელმაც შარშინ-
დელი სეზონი ბავსვის დაბადების
გამო გამოიტოვა. ნ. ფედულოვმა II
ადგილი დაიკავა 1000 მეტრზე კა-
ნოსიტა შეჯიბრებაში — 4.27,55.
ასევე მეორე იყო ოლიმპიური ჩემ-
პიონი, მეზაიდარე ა. შპორტენკო —
4.26,90. ჩემპიონატის გახსნის სა-
ზეიოო ცერემონიალი გაიმართა
... კოვენაბანის პარკის დიურეპა-
ვენის საბავსო ქალაქში. ადგილობ-
რივი მონაწილეთა და მრავალრიცხოვანი
მყურებლის ტაშის გრიალში ბაი-
დარებთა და კანოებით ნიჩბოსნო-
ბის საერთაშორისო ფედერაციის
პრეზიდენტმა შარ დე კოკრემონ-
მა შეჯიბრება გახსნილად გამოაც-
ხადა.

აქავე კავშირი
აქავე ოქო...

თვითმფრინავების თუ გზარა...

29 ივლისს მოსკოვში ჩატარდა პრეს-კონფე-
რენცია საბჭოთა მფრინავების პატენსაცხად,
რომელთაც დიდი წარმატება მოიპოვეს ინგლის-
ში, უმაღლესი პილოტაჟის ოსტატთა მსოფლიო
ჩემპიონატში, ამ შეიმზე მიწვეული იყვნენ „იაკ-
18-ის“ შემქმნელი ავიაკონსტრუქტორები, რომე-
ლთა მანქანებიათაც საბჭოთა პილოტები გამოდი-
ოდნენ.

სახელგანთქმულ სპორტსმენებს მიესალმა დო-
საფის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე,
პრემიის გენერალი ა. გეტმანი. მან საზვასპით
აღნიშნა, რომ საბჭოთა სპორტსმენთა წარმატე-
ბას ინგლისში ძალიან შეუწყობ ხელი იმან, რომ
მფრინავებს დიდი იმედი ჰქონდათ თავიანთი მა-

ნქანებისა. ეს თვითმფრინავები შექმნა ავიაკონ-
სტრუქტორთა ასოციაციის დამფუძნებელმა, რომელ-
საც სათავეში უდგას გამოჩენილი ინჟინერი
თვითმფრინავმშენებელი ს. იაკოვლევი.

— სპორტული „იაკები“ ჩვენთვის, კოსმონავ-
ტებისთვის, თუ შეიძლება ითქვას, თავისებუ-
რი ციური მერხია, — თქვა პრეს-კონფერენციაზე
სსრ კავშირის მფრინავთა კოსმონავტმა, საბჭოთა
კავშირის გემრმა ბ. პოპოვიჩმა.


კოსტრუქტორებს მეორე მადლობის სიტყვა
უთხრა 90-კილოგრამიანი ვერცხლის თასის —
„არესტის“ მფლობელმა (ეს ჯილდო ვაჟთა შო-
რის აბსოლუტური პირველობის მიმოვებლისთვის

სა განკუთვნილი), საბჭოთა ნაკრების კაპიტანმა,
კუბიშვევლმა ი. ეგოროვმა. — უიაკი“ სისწრა-
ფის, მანვერულობისა და ესთეტიკური თვისებე-
ბის ნაერთი, — თქვა მან.

— ჩემპიონატის ერთმა მონაწილემ მიიხრა, თუ
ასეთი მშვენიერი თვითმფრინავები გაქვთ, წარმო-
მიდგენია, რა ძირი გიჯდებათ სპორტში ვარჯი-
ში, — უამბო პრეს-კონფერენციის მონაწილე-
ებს მსოფლიოს აბსოლუტურმა ჩემპიონმა ქალთა
შორის, 22 წლის მოსკოველმა სტუდენტმა ს. სა-
ვიცკიამ. — მე მივგეგმ, რომ საბჭოთა კავშირში
სპორტში ვარჯიშისთვის ფულს არ იხდიან. უცხო-
ელმა თავდაპირველად არც კი დამიჯერა,
ამ შეხვედრის სახსოვრად კოსტრუქტორებმა

სსრ კავშირის ნაკრების წევრებს სავიციას, ტუ-
ლელ ლ. ლეონოვას, მოსკოველ ზ. ლიზნოვას,
კალუგელ მ. მორთოვას, კუბიშვევლეს ს. პო-
დოლიასა და ი. ეგოროვს, ნოვოსიბირსკელ ა. მი-
მენოვს, კემეროველ ვ. პონომაროვს, კრასნოიარ-
სკელ ე. კაინოვს, დონეცკელ ვ. სამოილოვს უძ-
ღვნეს კონსტრუქტორ ა. იაკოვლევის წიგნი „ცხო-
ვრების მიზანი“ ავტორის ავტორგრაფით. მსოფ-
ლიოს აბსოლუტურ ჩემპიონებს სავიციასა და
ეგოროვს გადასცეს „იაკ-18-ის“ მფლობელი.

ბ. პინევალი.
(საქედისი კორ.).



შესაქმებულა
ქ
სინამდვილე

ქუთაისელი მოცურავეების წყალბურთების და წყალში მზომების უხერხულ შედეგებს რესპუბლიკურ სარბიელზე მუდამ იმით ხსნიდნენ, რომ ამ ქალაქს საცურაო აუზი არ ჰქონდა, მართლაც, რესპუბლიკის ინდუსტრიის მეორე ცენტრში, სადაც ათეული ათასობით ახალგაზრდაა (არ უნდა დავივიწყოთ, რომ ქუთაისში ბევრი ნიჭიერი სპორტსმენიც მისცა რესპუბლიკურ ნაკრებს) ერთი ხეირიანი ბაზა კი არ გაჩნდათ, არამედ კომპლექსური სანახევროდ მოწყობილი აუზი უმთავრესად ხანძარსა და სხვა საფრთხეებს უზღოვრებს, ხოლო სახანძროდ და სხვა საფრთხეების დასაცავად დასაწესებულად მოწყობილი აუზი, საჭირო იყო ქუთაისის განათლების განყოფილებაზე უფრო ადრე.

და აი, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ შექმნა ქუთაისში აუზის აგების შესაძლებლობა: განათლების ადგილობრივ ორგანოებს ბაზის აგების ნება დასთო და სათანადო სახსრებიც გამოყო. რათა ეს შესაძლებლობა სინამდვილედ ქცეულიყო, რათა ახალგაზრდებს სასარგებლოდ მიეღოთ კეთილმოწყობილი აუზი, საჭირო იყო ქუთაისის განათლების განყოფილებაზე უფრო ადრე.

თავდაპირველად საქმე კარგად წავიდა: რკინიგზის სადგურის მახლობლად გაჩაღდა მშენებლობა მამეტრიაში სანადარტული საცურაო აუზისა, რომელსაც უნდა ჰქონოდა წყალში სახტომი ტრამპლინები და კოშკი, გათობა, გასაბეჭდები, საშხაპები, მწვრთნელთა ოთახები, მეთოდური კაბინები, სასაუნო კაბინები, მისაცდელი... ადგილი შენაშენებდა შეარჩიეს, რაც ბაზის სრული დატვირთვა მუშაობისა და, მაშასადამე, ნიჭიერი სპორტსმენების გამოვლინება-აღზრდის გარანტიას იძლეოდა. მაგრამ სპორტის მოყვარულების სინარული ნაპირები გამოდგა.

სამყაროში უშიშრო მოვლენები არ არსებობენ და ცხადია, ქუთაისის განათლების განყოფილების აუზის მშენებლობის გაჭიანურებაც ჰქონდა მიზეზი, რომელსაც უოგერიო ვაიხილმძღვენილი მუშაკის გულგრილობა ჰქვია: მუდამ რაღაცა ვერ ითვალისწინებდნენ, მუდამ რაღაც ავიწყდებოდათ, საქმის 70 პროცენტის რის ვაივალობით გაკეთდა, დაიხარჯა ათეული ათასობით მანეთი, ათეული ათასობით ცალი აგური, ტონობით ცემენტი... მიზეზი უშედეგოდ არ არსებობს. ამ შემთხვევაში კი შედეგის გახსნადა, რომ მშენებლობა შეეგრძალებინათ კედლების ნაწილი დაინგრა. აუზი, რომელიც ქუთაისის ინჟინერულ-სპორტული ცენტრის წინააღმდეგ გაჩაღდა უნდა გადაქცეულიყო სხირად ანარქული თამაშების მოყვარულთა თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს.

ვერ ვიტყვით, რომ ქუთაისში არ იციან როგორ ააშენონ აუზი, რომ იცინიან სპორტის არ მყავდეთ. ორივე ოდეს თვის წინ აქ დაამთავრეს და ახლანაც სახეივოდ გახსნეს „განათლების“ სამაბაზნაინი აუზი, რომელიც, საც, სულ ცოტა, სამჯერ მეტი მუშაობა მინდა დასჭირდა და რომლის მშენებლობაც გაიცვლინა გვიან დიწყო. მაგრამ სადაც მონდობება, სადაც შესაძლებლობის სინამდვილედ გადაქცევის ობიექტურ საფუძვლებს სათანადოდ იყენებენ, მიზანსაც აღწევენ.

„განათლების“ აუზი შენაშენებდა საჩუქარია, მაგრამ იგი ქალაქის ერთ ბოლოში მდებარეობს, განათლების განყოფილების აუზი კი მეორე ბოლოში შენდება, და ამ ბაზის მშენებლობაც აუცილებლად დროით უნდა დაამთავრდეს.

მ. გელაშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.)
ქუთაისი.
სურათები: მარჯვნივ-მოშაველი ბაზის სამაბაზნაინი; მარცხნივ- აგურების ეს გროვა კედლებს ჩამოქცევის შედეგია.
აგურის ფიტინი

II ხარისხის დიპლომებსა და ორ მეორე პრემიას 200-200 მანეთის რაოდენობით;

III ხარისხის დიპლომებსა და სამ მესამე პრემიას 100-100 მანეთის რაოდენობით.

დაწესებულია წამახალისებელი ჯილდოები: სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის ურთი საგზური, ახალგაზრდული ტურისტული მატარებლის „დრუშას“ ორი საგზური.

ხელსაწყოები წარმოადგენილი უნდა იქნეს დევიზით, რომელსაც დაბეჭდილი კონვერტით უნდა ახლდეს განმარტება.

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტთან (თბილისი, ჭავჭავაძის პრ. № 49, ტელფონი: 22-81-00, 22-24-89) გახსნილია საკონსულტაციო პუნქტი კონკურსის მონაწილეებისთვის.

საკონკურსო მასალები უნდა გაიგზავნოს მისამართით: თბილისი, ჭავჭავაძის პრ. № 49, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი — „საკონკურსო“, ფურის სახელზე.

ა. პოპიაშვილი ჩეპიონია

მოსკოვში დამთავრდა ახალგაზრდა მღვდლისათა საკავშირო პირველობა, რომლის მიზანი იყო ევროპის ჩემპიონატისთვის ქვეყნის ნაკრები გუნდის კანდიდატა შერჩევა. მოასპარეზებმა ბევრი კარგი შედეგი აჩვენეს. ჩვენ უკვე ვწერდით, რომ 200 მეტრზე თარჯინებით, ნ. ნიკიფოროვამ ორი ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა. ასევე დავეუბნებთ, რომ 200 მ ვოლოგდელებმა რ. ნიკოლოზოვამ 23,7 წამში გაარბინა და ქალიშვილთა საკავშირო რეკორდი გაიმყარა.

ტურნირის ბოლო დღეს კიდევ ორი რეკორდი დამყარდა: ბელორუსის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა ა. ჟოდანოვმა 200 მეტრი 21 წამში გაარბინა, ხოლო შემდეგ დინამიკითა გაარბინა (ვ. ლისენკო, ვ. ზაიცევი, ს. კოროვინი, ა. ტარასოვი) 4x100 მეტრზე ესტაფეტაში 40,7 წამი აჩვენა. თბილისელმა ა. მოშაშვილმა ჩემპიონობა მოიპოვა 110 მეტრზე თარჯინებით — 14,3 წამი.

სხვა შედეგებიდან აღსანიშნავია ბადროს ტყორცნაში ნ. ჩელიშჩევს (46,50), 800 მეტრზე რბენაში თ. კაზაჩკოვს (2,10,0), ხუთჭიქაში ლ. სკოლობანოვს წარმატება. ამ უკანასკნელმა 4770 ქულა მოაგროვა და „მურევესტის“ ცენტრალური სამჭოს რეკორდი გააუმჯობესა.

ვაქვებში თავი ისახელებს: 800 მეტრზე რბენაში — ვ. ვესტნიცკომ — 1,51,9, 1500 მეტრზე რბენაში — ა. ბენინაროვიჩმა — 4,37,2, ბირთვის კვარაში — ა. ვიტკაივიჩმა — 17,44...

საქმი საქმი

● ორიოლი, 80 ივლისი. საპლანერო სპორტში სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება კვლავ ე. რუდენსკიმ (კიევი) მოიხვეჭა. ქალთა შორის ამ მაღალ ტიტულს მეოთხედ დაეპატრონა მ. აფრიალოვა (რსფსრ). ასე დამთავრდა პლანერისტთა საკავშირო შეჯიბრება, რომელიც დოსაფის სამხედრო-ტექნიკური სახეობების V სპარტაკიადის პროგრამაში შედიოდა. ბოლო დღეს პლანერისტებმა ორჯერ იგერიეს 100-კილომეტრიანი სამკუთხა მარშრუტით. მუკომბრებს ლიდერი — ახალგაზრდა პლანერისტი ევატერინა გოლენკო (დნეპროპეტროვსკი) მიჯიკრდა მხოლოდ მეშვიდე იყო (მანამდე მან გოლენკოვთან სამკუთხა მარშრუტზე სისწრაფის საკავშირო რეკორდი დაამყარა — 78,3 კმ საათში). გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს უკრაინის წარმომადგენლებმა. II ადგილზე არიან მოსკოველები, III — რუსეთის ფედერაციის პლანერისტები.

● სპარტაკი, 30 ივლისი. ადგილობრივ „დინამოს“ აუზზე დღეს ცნობილი გახდა წყალში სტომაში სსრ კავშირის ჩემპიონატის პრიზების ბოლო კომპლექტის მფლობელთა ვინაობა. ერთმეტრიან ტრამპლინზე შეჯიბრების ბევრი მონაწილისთვის, რომლებსაც კლასიკურ მსპარეზობისას ხელი მოეცა, ეს სახეობა, ასე ვთქვათ, მანუგებელი იყო. ქვეყნის სამგზის ჩემპიონი, მოსკოვის სპარტაკელი ვ. ვასინი (156,03 ქულა) ამ უმაღლეს წოდებას მეოთხედ დაეპატრონა, ქალთა შორის კი მიმდინარე ჩემპიონატის ოქროს „დუბლი“ გააკეთა მოსკოვის დინამოელმა თ. საფონოვამ — 141,19 ქულა. ვაქვებში ვერცხლის მედალი მოიხვეჭა ვოლოგოდაის სპარტაკელმა ვ. კაპირულიმ (148,77), ხოლო ბრინჯაოსი — ცსკა-ს წარმომადგენელმა მ. საფონოვამ (148,61). ქალებში II ადგილზეა ე. ანოსინა (ცსკა) — 135,86, ხოლო III — ნ. ტრუბორნიკოვა (მოსკოვის „სპარტაკი“) — 135,16. გუნდურ ჩათვლაში საპირუთ ადგილები ასე განაწილდა: „დინამო“ — 277 ქულა, „სპარტაკი“ — 239, შეიარაღებული ძალები — 236.

● ამსტერდამი, 30 ივლისი. მოჭადრაკე ვაჟთა აქ მიმდინარე ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში — „იბი“ — 18 ტურის შემდეგ ლიდერობა ხელთ იგდო საბჭოთა დიდოსტატმა ლ. პოლუგაევსკიმ — 10,5 ქულა. მორიგე გამარჯვებას პოლუგაევსკიმ მოლანდიელ დიდოსტატთან ი.პ. დონერთან შეხვედრაში მიაღწია. მხოლოდ ჩემპიონი ბ. სპასი, რომელიც აქამდე პოლუგაევსკისთან იყოფდა ლიდერობას, ახლა — ვ. ზორტან (ჩეხოსლოვაკია) თამაშის ფრედ დამთავრების შემდეგ — 10 ქულით II ადგილზეა. ტურნირის მესამე საბჭოთა მონაწილემ — დიდოსტატმა ე. გელერმა პოლუგაევსკისთან მოლანდიელ კ. ლანგევეს და 8 ქულა აქვს.

● ბუენოს-აირსი, 30 ივლისი. მოჭადრაკე ვაჟთა აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში გადამებული პარტიების დამთავრების წინ ერთბაშად სამი კაცი დაწინაურდა — დიდოსტატები ს. რემეცკი (აშშ), მ. ნაიდორფი (არგენტინა) და საბჭოთა ოსტატი ვ. ტუგაქოვი — 5-5 ქულა. გადამებული პარტიების დამთავრების დღეს მათ გუსწრო რ. ფიშერმა (აშშ), რომელმაც ორი გამარჯვება (მათ შორის, რუმინელ დიდოსტატთან ფ. გეორგიუსთან) იწვიმა. ლიდერს 5,5 ქულა აქვს 7-დან. მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ვ. სმისლოვს 3 ქულა და ერთი გადამებული პარტია აქვს.

სსრ კავშირის XXVII ჩემპიონატი

თბილისის „დინამო“ გაიმარჯვა ქულების დავალებაში




გაიმართა მორიგი ტურის მატჩები. მიმდინარეობს საინტერესო და დაძაბული ბრძოლით აღნიშნა ადგილობრივი არმიელებისა და თბილისის დინამოელთა ორთაბრძოლა ჩემპიონატის ფინიშზე. შესვენების შემდეგ სტუმრებისთვის არ ჰქონდა დიდი მნიშვნელობა, მაგრამ მათ მინაც მონდობებით ითამაშეს. პირველი ტაიმი თბილისელმა კალათბურთელებმა ნ ქულის უპირატესობით მოიგეს — 42:36. ბრძოლა შესვენების მეორე ნახევარშიც უაღრესად შეუპოვარი გამოდგა, მაგრამ მცირე უპირატესობა მაინც „დინამოს“ მხარეს იყო და ეს საყვებით საკმარისი გამოდგა გამარჯვებისთვის — 76:72.

გვარი პრაქტიკული ღირებულება დაკარგეს, მაგრამ მოწინავე კოლექტივებს ეს როდი აძლევს უფლებას, კალენდარულ შეხვედრებს ასე ზერეულდ მოეციდონ. კაუნასის „ჟალიგირისმა“, მაგალითად, 4 ივლისის შემდეგ ნ შესვენება ჩაატარა და მხოლოდ ერთხელ იწვიმა გამარჯვება გუნდთან (ლენინგრადის „სპარტაკთან“), რომელსაც ქულა არაფერს აძლევდა. დანარჩენი მატჩები ლიტველებმა წააგეს, მათ შორის, სვედლოვსკის „ურალმშთანაც“ და ალმა-ათის „ლოკომოტივთანაც“.

„ჟალიგირისის“ ბედი გაიზარა „კალენდარულ“ იგი ამ ორი დღის წინ თამაშობდა ალმა-ათაში და დამარცხდა ანგარიშით 66:71. საინტერესოა, რომ ესტონელმა კალათბურთელებმა 13 ქულის სხვაობით წააგეს ტაიმი (27:40) და მხოლოდ შესვენების შემდეგ კიდევ უფრო უსიამოვნო მარცხის მოლოდინში, ერთგვარად გააქტიურდნენ. სხვაობა მათ მართლაც შეამცირეს, მაგრამ წაგებას მაინც ვერ გადაურჩნენ.

გათამაშების ცხრილი

Table with columns for teams, sets, and scores. Includes teams like Dinamo Tbilisi, Spartak, etc.



20 წუთი რას ეყოფოდა?

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 29 ივლისი.
 „ტორპედო“ (ქუთაისი) — ცსკა 0:1 (0:1).
 „ტორპედო“: გოგია, ჩხაიძე, წვარავა, შერგელაშვილი, ჭოხონელიძე, შერგელაშვილი, ანფიმიანი, სანაია, დედა, ხერხაძე, ქიქავა.
 ცსკა: შუცი, ისტომინი, შესტერნიოვი, ვოიტეკო, კაპლიჩინი, მასლიაევი, დოლოგოვი, კოპეიკინი, ფედოტოვი, პოლიკაროვი, დუდარენკო.
 მსაჯი ვ. ტოლიჩინსკი (ალმათა).
 დუბლიორები — 1:1.


სერიოზულია: ქუთაისის „ტორპედო“ აუტსაიდერთა რიგებშია, ამდენად, მატჩს მოსკოვის არმიულსკთან საკუთარ მიმდორზე დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა.
 მაგრამ, ამავე დროს, მოსკოველებიც ანალოგიურ მდგომარეობაში იყვნენ უედლივად წაგებულნი 3 თამაშის გამო, ცსკა ჩემპიონობის ერთ-ერთი უმთავრესი კანდიდატი იყო, ახლა კი ეს პოზიციები დათმო და ქუთაისში შეეცადა დასაკარგის ანაზღაურებას.
 ესე იგი, ორივე გუნდის წინაშე ერთი და იგივე ამოცანა იდგა, მაგრამ მოწინააღმდეგე მხარეებმა სულ სხვადასხვა გზით გადაჭრეს იგი.
 არსებითად, ქუთაისელ ფეხბურთელებს ბევრი არაფერი გაუკეთებიათ, რათა მეტოქისთვის თავიდანვე ვერძობინებინათ თავიანთი აქტიური განწყობილება. ეს განსაკუთრებით იხებოდა თავდასხმელებს. სრული პასიურობა,

სრული ინერტულობა წინა ხაზზე. შუციც ვარშემო ისეთი სიწყინარე სუფიქსად, რომ შესტერნიოვს და მის უახლოეს პარტნიორებსაც მცველთა რიცხვიდან ხშირად ეძლეოდათ საშუალება სიფათი შეეჭმინათ მოწინააღმდეგისთვის. თამაშის მთელი სიმძიმე ქუთაისელთა დაცვის ხაზებს დააწვა.
 ცსკა-მ რეალურად შეაფასა შექმნილი ვითარება და პირველივე წუთებიდან ისე წარმართა თამაში, რომ მეტოქეს მთლიანად თავს მოახვია თავისი გუნდის, გაწლილი, აგრესიული, სწრაფი იერიშები. მოსკოველები მცირე შესაძლებლობისთანავე ყოველგვარი პოზიციიდან ურტყამდნენ კარში, მაშინ, როცა მასპინძლების ფორგარდები არც კი იყურებოდნენ შუცისკენ.
 მე-9 წუთზე ფედოტოვმა შორიდან დაარტყა კარში, გოგია ოდნავ წინ აღმოჩნდა გამოსული და ვერ მისწვდა ბურთს.

ამის შემდეგ ქუთაისელთა მცველები მოსვენება არა ჰქონდა უდღერეთი, კოპეიკინის, პოლიკაროვის, დუდარენკოს იერიშებისგან. ასეთივე დატვირთვა აწვათ მცველებს.

და მხოლოდ ბოლო 20 წუთის მანძილზე, როცა ფაქტიურად არაფრის გაკეთება აღარ შეიძლება, გამოიღვიძეს „ტორპედოს“ თავდასხმელებმა. ბრძოლა გამწვავდა მხოლოდ ამ პატარა დროში, მაგრამ 20 წუთი რა არის ცსკა-სთან რაიმე წარმატების მოსაპოვებლად? ტორპედოელები დამარცხდნენ. ახლა მათს წინაშე სრული სიცხადით დგას ბევრი სირთულე. მდგომარეობის გამოსწორების შესაძლებლობა, რასაკვირველია, არის, მაგრამ აუტსაიდერთა რეგებიდან თავის დაღწევას სჭირდება დიდი თავგანწირვა ენერჯია და მონდობა. მთავარი ბრძოლა წინაა და ქუთაისელმა ფეხბურთელებმა მას მთელი თავიანთი ძალა უნდა მოახმარონ.

შ. ნიჟარაძე.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.)



კავშირის პირველობა

29 ივლისის გაიმართა საქავშირო ჩემპიონატის მეორე წრის I ტურის მატჩები.

„ნეფთჩიკი“ შინ საგრძნობი უპირატესობით ჩაატარა შეხვედრა „ფახთაქორთან“, მაგრამ მასპინძელთა დაცვაში დაშვებული უხეში შეცდომის შემდეგ სტუმრების ცენტრალურმა თავდასხმელმა როდონოვმა 71-ე წუთზე ანგარიში გახსნა. 8 წუთის შემდეგ საპასუხო გოლი გაიტანა შევჩენკომ — 1:1.

დონეცის გუნდის დაცვა მუდამ გამოირჩეოდა მტკიცე დაცვით, მაგრამ უკვე მერამდინედ აღ სეზონში მას სერიოზული ზხარი დაემჩნა. „შახტიორმა“ თავისი შორიკი კალენდარული მატჩი ჩაატარა ვოროსილოვ-გრაღში და დიდი ანგარიშით დაამარცხა — 1:5. პირველი ბურთი მე-11 წუთზე გაიტანა სემიონოვმა. შემდეგ შალინიმა, ლისაკოვსკიმ და კუზნეცოვმა კიდევ სამჯერ აიღეს მეშახტეთა კარი, ტაიშის ბოლო წუთზე კი სანაიმ უსტაღ გამოიყენა 11-მეტრიანი. შესვენების შემდეგ „შახტიორმა“ მხოლოდ ის შეძლო, რომ თავი დააღწია „შხალი“ ანგარიშით წაგებას (კოზინევიჩი) — 1:5.

კოკსპირული წვიმა არ შემწყდარა ოდესაში, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ჩერნომორცი“ და მოსკოვის „ტორპედო“. მეკარე ბანიკოვის საუცხოო თამაშმა ტორპედოელები მარცხს გადაარჩინა — 0:0.

უკიდურესი სიმწვავეთ აღინიშნა მატჩი როსტოვი ადგილობრივ არმიელთა გუნდსა და კიევის „დინამოს“ შორის. დინამოელმა ტროსკინმა გაიტანა ერთადერთი ბურთი, რომელმაც მის გუნდს გამარჯვება მოუტანა — 1:0.

უმაღლესი ჯგუფის დებიუტანტი — ორგონიკის „სპარტაკი“ საუკეთესოდ თამაშობს ბოლო ტურებში — ოთხ შეხვედრაში. მესამე გამარჯვებას აღწევს. სპარტაკელებმა ამ დღეს შინ მიიღეს „არარატი“, კვლავ კარგად ითამაშეს და მეტოქე დაამარცხეს ანგარიშით 2:0 (ზაზროვი, აბაევი).

მატი მოსკოვი ადგილობრივ დინამოელებსა და „ნეიტს“ შორის მასპინძელთა უპირატესობით მიმდინარეობდა: მასლოვმა და ევრიუხინმა 2 ბურთი გაიტანეს ლენინგრადელთა კარში — 2:0.

ანგარიში არ გახსნილა მინსკის „დინამოსა“ და მოსკოვის „სპარტაკის“ შეხვედრაში, თუმცა ორივე გუნდს ჰქონდა საშისო შესაძლებლობანი.

მიმდინარე ჩემპიონატის პირველი წრის დასასრულმა ძალიან დიდი გავზიარება მოუტანა ქუთაისის „ტორპედოს“ და მის გულშემატკივრებს. თითქმის, სულ ახლახან იყო, რომ ტორპედოელებს საიმედოდ ეკუთვნოდა ადგილი შუა ცხრილში და კიდევ უკეთესი პერსპექტივებიც ესახებოდათ, მაგრამ პერსპექტივა ერთია, მისი შესრულება კი მეორე. გუნდმა საგრძნობლად უკლო თამაშს სწორედ მაშინ, როცა მონაპოვარს განმტკიცება ესაჩიროებოდა — შედივდ წაგო ბოლო 4 შეხვედრა. ახლა მდგომარეობა მეტისმეტად

თასის გათამაშება დაიწყო


29 ივლისს დაიწყო საქართველოს თასის გათამაშება.

დიდ წარმატებას მიაღწიეს თავიანთ მიმდორზე გორის რაიონის „ქართლის“ ფეხბურთელებმა, რომლებმაც ანგარიშით 4:0 დაამარცხეს რესპუბლიკური ჩემპიონატის ლიდერი — ზესტაფონის „მეტალურგი“.

ასპინძის „ვარძიამ“ შინ წაგო სპარტაკის „ლოკომოტივთან“ — 2:3.

ზუგდიდის „ენგურმა“ დაძაბული ბრძოლის შემდეგ წააღწიხაში დაამარცხა ადგილობრივი „სპურონი“ — 4:3.

თბილისის სატელეფონო ქსელის გუნდი დაამარცხა ლაგოდეხის „პეტრთან“ შეხვედრაში — 2:5.




გურჯაანი

დამთავრდა ოქტობა თავთავის თასის გათამაშება, რომლის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ვახისუნის „მევენახე“ და სოფ. დარჩეთის კოლმეურნეობის გუნდი. დარჩეთის ახალგაზრდა ფეხბურთელებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს გამოცდილ მეტოქეს — დამატებითი დროის შემდეგ ანგარიში იყო 4:4. გამარჯვებული გამოვლინდა 11-მეტრიანების შემდეგ. წარმატება წილად ხვდათ ვახისუნელებს.
 ბ. ჟიკლაური.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 1 აგვისტოსთვის

თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.	
„დინამო“ (მოსკოვი)	17	10	4	9	25-10	24
„დინამო“ (კიევი)	17	10	8	4	21-12	23
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	18	7	8	8	29-15	22
ცსკა	17	9	8	5	24-10	21
„დინამო“ (თბილისი)	16	8	5	8	22-11	21
„ტორპედო“ (მოსკოვი)	17	7	6	4	16-14	20
ხსა (დონის როსტოვი)	17	5	9	8	11-8	19
„არარატი“ (ერევანი)	17	7	4	6	15-15	18
„ზარნა“ (ვოროსილოვგრადი)	17	6	6	5	13-15	18
„ნეფთჩიკი“ (ბაქო)	17	5	7	5	17-13	17
„დინამო“ (მინსკი)	17	4	6	7	17-18	14
„შახტიორი“ (დონეცკი)	17	4	5	8	15-80	13
„შახთაპორი“ (ტაშკენტი)	17	8	7	7	10-26	13
„ჩარნომორცი“ (ოდესა)	17	8	6	8	10-19	12
„ტორპედო“ (ქუთაისი)	18	2	8	8	8-18	12
„შინინი“ (ლენინგრადი)	17	4	4	9	16-27	12
„სპარტაკი“ (ორგონიკი)	17	8	5	9	18-26	11



ორი კურდღლის გაღვივება

წიღოვან ბილიკზე მოტორბოლის წესები ადრინდელთან შედარებით ახლა უფრო მკაცრია: თუ წიღოვანდამდე მონაწილეს სასტარტო ლენტის გაწყვეტისთვის (ცრუ სტარტისთვის) გაფრთხილება ეძლეოდა, ახლა მას სერიიდან დაუყოვნებლივ ხსნიან. სპორტსმენს აფრთხილებენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასტარტო ლენტის მანქანის თვლით შეხება, მაგრამ არ გაწყვეტს. ამაგვარი შეცდომის განმეორებით ჩადენისთვის სპიდეისტი სტარტიდან იხსნება.

სწორედ სასტარტო ლენტის გაწყვეტისთვის დაისაჯენ ევროპის ჩემპიონი, თბილისელი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ვ. კლიმენტოვი და ერევნელი სპორტის ოსტატი ვ. კანდიდატი ვ. გრიგორიანი. ეს მოხდა თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე, სადაც სპორტის ტენეიკური სახეობების V საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული მეოთხედფინალური გუნდური შეჯიბრება მიმდინარეობდა. ფაქტობრივად, ეს გათამაშება სსრ კავშირის გუნდური ჩემპიონატის, ერთდროულად ორი კურდღლის დაჭერის შემსაძლებლობამ კი სპორტსმენებს ნად მოგებაზე ბრძოლის სურვილი აღუძრა. ფინისიკენ ყველა თავდაუსოგავად მიჰქროდა და მყურებულმაც უამრავი საინტერესო მომენტი ხანა. ეს იყო მქროლავი მანქანების ყალყზე დაყენება, სწრაფად ბროლისას ბილიკის შიდა წრეში მოულოდნელად შეჭრა (ამისთვის მონაწილე შეჯიბრებელს იხსნება), ვირაჟებზე დაცემა და ძირს დაგრივნილი დაუმორჩილებელი მოტოციკლების წისქვილის ქეახავით ადგილზე ბზრიალი...

ვისუფალი იყო. თავიდან ასატრიანი დაწინაურდა, მაგრამ გორდევმა მესამე წრეზე მძლავრი ბიძეთი მეტოქის ჩანოტოვება შეძლო და გუნდს 3 ქულა მოუტანა. ასატრიანი 2 ქულას დასჯერდა.

ს. ლიომინიძის (თბილისი) გრიგორიანმა საინტერესო ბრძოლა გაუმართა. ლიომინიძე ჯერ დაწინაურდა, შემდეგ ჩამორჩა, მეორე მდგომარეობა გამოსწორა, ისევ ბროლის ლიდერი გახდა, მაგრამ ბოლო ვირაჟზე მანქანა ვერ დაიმორჩილა, ბილიკიდან მოედანზე შეიჭრა და სერიიდან მოიხსნა. ორი სერიის შემდეგ სომხეთს 5 ქულა დაუგროვდა, საქართველოსა და ყაზახეთის კოლექტივებს — 3-3.

მესამე და მეოთხე სერიებში კლიმენტოვმა და მ. კრასნოვმა, უმთავრესად სომხეთის გუნდის წევრებთან — ალექსეოვთან და კ. მარტიროსიანთან ბრძოლაში (ალმათაელები მეტოქეებს აშკარად ჩამორჩებოდნენ) ანგარიში გაათანაბრეს (9:9). მაგრამ მცირე ხნით, ვინაიდან მესუთე სერიაში კლიმენტოვს ნერვებმა უმტყუნა — ცრუ სტარტისთვის იგი ფარეხში დააბრუნეს. მომდევნო, მეექვსე სერიაში ერევნელები კიდევ 1 ქულით დაწინაურდნენ, როცა ასატრიანმა დაამარცხა კრასნოვი. მთავარ მეტოქეთა შორის ანგარიში გახდა 15:11. ეს იყო მასპინძელთა ბოლო წარუმატებლობა.

შესვენებამდე კიდევ ორი სერია მოეწყო და ორივე თბილისელი სპორტსმენი — გორდევმა და ლიომინიძის გამარჯვებით დამთავრდა. ამასთან, გორდევმა დღის საუკეთესო შედეგი აჩვენა — სტადიონის 4 წრე 1 წუთსა და 17,3 წამში შემოიარა.

ლიომინიძემ დაუქვეყნოს სტადიონის ნახევარი წრე მოუგო. და მაინც, შესვენებისას წინ სომხეთის სპიდეის-

ტიბი იყვნენ — 19 ქულა. მასპინძლებს 17 ქულა ჰქონდათ, ყაზახეთის სპორტსმენებს — 10.

ფეხბურთის ენაზე რომ ვთქვათ, შეხვედრის მეორე ნახევარი პირველს არ ჰგავდა. იგი მასპინძელთა აშკარა უპირატესობით მიმდინარეობდა: ოთხივე თბილისელი უფრო გონივრულად მიჰქმედებდა. მათ არც ერთი სერია აღარ წაუგიათ, საბოლოოდ 41 ქულა მოაგროვეს და პირველობა დაისაკუთრეს. გორდევმა გუნდს 12 ქულა შესძინა, კრასნოვმა — 11, ლიომინიძემ და კლიმენტოვმა — 9-9.

შეჯიბრების განახლების შემდეგ ჩატარებული ბრძოლებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მე-15 სერიაში კრასნოვმა, მე-16 სერიაში კი კლიმენტოვმა მეტოქეებს წრე მოუგეს. 11 ადგილზე გავიდნენ სომხეთის სპიდეისტები — 33 ქულა, 111 — ყაზახეთის სპორტსმენები — 17.

გუმინ საქართველოსა და სომხეთის გუნდები სალაგოს გაემგზავრნენ, სადაც 4 აგვისტოს ნახევარფინალში იასპარეზებენ. ფინალი 7-9 აგვისტოს შედგება უფაში. ბაშკირეთის დედაქალაქში გაირეგვია ოქტოს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების მფლობელთა ვინაობა როგორც გუნდურ, ისე პირად პირველობაში (პირადი ტურნირების მეთხედფინალში თბილისში 25-27 ივლისს ჩატარდა). შემდეგ გორდევმა და კლიმენტოვმა ისევ ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში გამარჯვებისთვის იბრძოლებენ.

რ. მადარაძე.
 * * *
 ს უ რ ა თ ე: შეჯიბრების მომეტი.
 ო. გელაშვილის ფოტო.

საქართველოს საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვებით დამთავრდა მსატრულ ტანვარჯიშში სსრ კავშირის პროფკავშირთა და ჩემსოლოვაციის ნაკრები გუნდების საპასუხო ამსანაგური მატჩი — 145,40:143,65 (მასში პრალში გამართული პირველი მატჩიც საბჭოთა ტანვარჯიშეებმა მოიგეს). ტანვარჯიშის გამო მოსკოვს ვერ ჩამოეგო ორი უძლიერესი ჩემსოლოვაციელი სპორტსმენი. მათი ადგილები დაიკავეს ახალგაზრდებმა, რომლებმაც, საბჭოთა ნაკრების ხელმძღვანელის, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის მ. ლისიციანის სიტყვებით, „საკმაოდ კარგი მომზადება გამოავლინეს, განსაკუთრებით ძლიერად შესასრულეს საგნით ვარჯიშები“. მასპინძელთა გუნდი ძირითადად ქვეყნის ნაკრების წევრებით იყო დაკომპლექტებული. საპირისპირო ადგილებზე სწორედ მათ დაიკავეს. პირველობა ხვდა საბჭოთა კავშირის აბსოლუტურ ჩემპიონს ლ. სერედას — 29,3 ქულა.

მდგომარეობა 1 აგვისტოსთვის

თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.	
„დინამო“ (მოსკოვი)	17	10	4	9	25-10	24
„დინამო“ (კიევი)	17	10	8	4	21-12	23
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	18	7	8	8	29-15	22
ცსკა	17	9	8	5	24-10	21
„დინამო“ (თბილისი)	16	8	5	8	22-11	21
„ტორპედო“ (მოსკოვი)	17	7	6	4	16-14	20
ხსა (დონის როსტოვი)	17	5	9	8	11-8	19
„არარატი“ (ერევანი)	17	7	4	6	15-15	18
„ზარნა“ (ვოროსილოვგრადი)	17	6	6	5	13-15	18
„ნეფთჩიკი“ (ბაქო)	17	5	7	5	17-13	17
„დინამო“ (მინსკი)	17	4	6	7	17-18	14
„შახტიორი“ (დონეცკი)	17	4	5	8	15-80	13
„შახთაპორი“ (ტაშკენტი)	17	8	7	7	10-26	13
„ჩარნომორცი“ (ოდესა)	17	8	6	8	10-19	12
„ტორპედო“ (ქუთაისი)	18	2	8	8	8-18	12
„შინინი“ (ლენინგრადი)	17	4	4	9	16-27	12
„სპარტაკი“ (ორგონიკი)	17	8	5	9	18-26	11

საქართველოს საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვებით დამთავრდა მსატრულ ტანვარჯიშში სსრ კავშირის პროფკავშირთა და ჩემსოლოვაციის ნაკრები გუნდების საპასუხო ამსანაგური მატჩი — 145,40:143,65 (მასში პრალში გამართული პირველი მატჩიც საბჭოთა ტანვარჯიშეებმა მოიგეს). ტანვარჯიშის გამო მოსკოვს ვერ ჩამოეგო ორი უძლიერესი ჩემსოლოვაციელი სპორტსმენი. მათი ადგილები დაიკავეს ახალგაზრდებმა, რომლებმაც, საბჭოთა ნაკრების ხელმძღვანელის, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის მ. ლისიციანის სიტყვებით, „საკმაოდ კარგი მომზადება გამოავლინეს, განსაკუთრებით ძლიერად შესასრულეს საგნით ვარჯიშები“. მასპინძელთა გუნდი ძირითადად ქვეყნის ნაკრების წევრებით იყო დაკომპლექტებული. საპირისპირო ადგილებზე სწორედ მათ დაიკავეს. პირველობა ხვდა საბჭოთა კავშირის აბსოლუტურ ჩემპიონს ლ. სერედას — 29,3 ქულა.

მოსკოვი, 30 ივლისი. გუმინ საღამოს საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვებით დამთავრდა მსატრულ ტანვარჯიშში სსრ კავშირის პროფკავშირთა და ჩემსოლოვაციის ნაკრები გუნდების საპასუხო ამსანაგური მატჩი — 145,40:143,65 (მასში პრალში გამართული პირველი მატჩიც საბჭოთა ტანვარჯიშეებმა მოიგეს). ტანვარჯიშის გამო მოსკოვს ვერ ჩამოეგო ორი უძლიერესი ჩემსოლოვაციელი სპორტსმენი. მათი ადგილები დაიკავეს ახალგაზრდებმა, რომლებმაც, საბჭოთა ნაკრების ხელმძღვანელის, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის მ. ლისიციანის სიტყვებით, „საკმაოდ კარგი მომზადება გამოავლინეს, განსაკუთრებით ძლიერად შესასრულეს საგნით ვარჯიშები“. მასპინძელთა გუნდი ძირითადად ქვეყნის ნაკრების წევრებით იყო დაკომპლექტებული. საპირისპირო ადგილებზე სწორედ მათ დაიკავეს. პირველობა ხვდა საბჭოთა კავშირის აბსოლუტურ ჩემპიონს ლ. სერედას — 29,3 ქულა.

